სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/29

ქ. თბილისი 22 ივლისი 2020

ააიპ სახანძრო უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სახელწოდების ცვლილებისა და მისი წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 ივნისის №01-05-04/85 დადგენილებისა და სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 22 ივლისის №01-06-02/07 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. შეეცვალოს სახელწოდება სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ ერთობლივად შექმნილ „არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს – სახანძრო უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევით ცენტრს“ და ეწოდოს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – სამოქალაქო უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“;
2. დამტკიცდეს აღნიშნული ცენტრის წესდების ახალი რედაქცია წარმოდგენილი სახით;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**